

სახელმწიფო კურსალი

სარატების დამატების
სამსახურის მიერ განვითარებული

გაზეთის № 235

დამატების № 42

პეტრა, 15 მარტი 1915 წ.



ეპიდემია გლობის აღზილი.

ლექსეგი ი. ეპიდემიისა

ტირილი ეპიდემიისა

კიდითი-კიდე მთელი ქვეყნისა,
უცხოთა შორის უცხონი მარად,
დატანჯულები, დაქსაქსულები,
გზა დაბნეულნი დავრწიოთ მთა-ბარად.

დავძრწიოთ, თან დაგვაქს სევდის ფიალა,
ზიზლი გვაცილებს, ზიზლი გვიზვდება,
და ცრემლი მოგვაქს შენთან, სიონო,
რომ დავიტიროთ შენი დიდება.

აქ ვიკრიბებით ყოველ კუთხიდამ,
შენს ნანგრევებზე სწვეთავს ნალველი,
აქ გვაქვითინებს შენი დამხობა;
ძველი დიდება, ძველი სახელი.

აქ, ნანგრევთ შორის, ჩვენთა წინაპართ
აკლდამებს ვხედავთ და გვაკანკალებს,
სირცხვილის ალი აგვდის სახეზე
და ცხარე ცრემლი აწვება ოვალებს.

აქ გამოფიტულ დელის ძუძუებს
დავკარიოთ წიზლი და გავიფანტეთ,
შენ მიგატოვეთ, იერუსალიმ,
და შენს მაგიერ რა შევიმატეთ?

ზიზლი და ფურთხი, კრულვა და წყივლა:
„ერი ეული და მაწანწალა“
ამას გვეძახის დღეს ჩვენ სუსველა,
ვისაც ხელთა აქვს თვის ძალთა-ძალა.

და რომ ხანდისხან გვკითხავენ ხოლმე:
„ჰეი, ისრაილ, სად არის შენი
სამშობლო მხარე, ყოველ ერისთვის
სიამაყე და ქედ დამამშვენი?“

ჩვენა ვლულლულებთ, ჩვენა ვდუდუნებთ,
ენა გვებმება, ძირისა ვხრით თავსა,
გაუბედავად ხელს შენსკენ ვიშვერთ,
პასუხს ვერ ვაძლევთ ვერავითარსა.

„უბედურება, სიონის გულზე
ფეხი სხვას უდგა, სხვის მორჩილია,
ებრაელი კი მისი მფლობელის
მხოლოდ ბუშია, მხოლოდ ჩრჩილია!“

ოხ, მართალს ამბობს... სხვითა კარებზე
ლუქმა პურით ხო კბენარიც ძლება,
და ისრაილიც, როგორც თოხფეხი,
წელში მოხრილი დაიკავება.


იერუსალიმ! იერუსალიმ!
სად არის შენი ძევლი დიდება?
აქ გაისმოდა წინწილ-ებანი,
დიდი ელოვას ქებათა ქება;

აქ შენს ქედებზე დავითის ქნარი
უკრავდა ფსალმუნს გულ საალერსოს,
აწ სადღა მივდვათ მოღლილი თავი,
აწ გულმა სადღა ამოაკვენესოს!

შეკლის აკვანთან ნანა ვერ გვითქვამს,
ტკბილი ლილინი ყელში გვიწყდება,




ქ.-კ. ვასილ ლუდუშიძე
(მოკლულია).



ქ.-კ. ირაკლი აბესაძე
(მოკლულია).



უნტ.-აფიც. ვლ. ფირცხე უნტ.-აფიც. დ. ბ. კლდი-
ლაიშვილი (დაჭრილია). აშვილი (დაჭრილია).



ქ.-კ. იაგორ სურგუ-
ლაძე (დაჭრილია).

რით ვანუგეშოთ შენი დამკარგი,
როცა ვაჟკაცად წამოიზდება?

ლოთხრათ: ეჭ, შვილო, ერთხელ შენც გქონდა
კაი სამშობლო, ვარდის ქვეყანა,
მაგრამ სხვის კარზე გედგა აკვანი
და არ გელირსა ეფრატის ნანა?

უთხრათ, რომ ეხლა იმის დიდებას
მოწმობენ მხოლოდ ნანგრევნი, ქვანი,
და დიდსა ტაძარს, იმის ჭალარას
თავზე დასხავის ყვავი, ყორანი?

ოხ, კმარა! კმარა! თვით ოკეანე,
რომ ჩავიყენოთ ცრემლად თვალებში,
მაინც, სიონო, ვერ დაგიტიროთ,
ისე ჩავიდეთ შავს სამარეში!

მაგრამ ნუგეშად ესლა გვშთენია:
სხვის ქვეყანაში, უცხონი მარად,
შენს ნანგრევებთან მოვდივართ, სიონ,
რომ გადავიქცეთ ცრემლების ლვარად!

1915 წ.

იტალიისადმი

(დ. ლ ე ო ვ ა რ დ ი ს ა)

სამშობლოვ ჩემო! ვხედავ
შენს კოშებს, სათოფურეებს,
კედელთ ნანგრევებს
გმირთ ქანდაკებას,
მაგრამ ვერ ვხედავ
იმათ დიდებას!
სადაა მათი გვირგვინები,
მათი ჩაჩანი?
უიარალოვ, მკერდ-შიშველავ!
ოხ, სისხლი, სისხლი,
იარები დაუთვალავი...
ჩემო ლამაზო დედოფალო,
აი ვით გხედავ!
ცაგ! დედომიწავ!
ვინ გაბედა მისი წამება?
მაგრამ შენ ხომ დაჯაჭვული ხარ!
დარდი, ვარამი, გამლილი თმა,
უმანდილო, წელში მოხრილი
ჭიხარ და თავი ჩაგიდვია
მუხლებში, სტირი...
იტირე, ჩემო იტალიავ,
ჰოი, იტირე, როგორც შეგშვენის:
დიდის დიდებით და მეტური
კაეშნით, მწარეთ...
შენ დაიბადე მიტომ,
რომ სხვა დაიმორჩილო,
მაგრამ ეხლა-კი ყველაფერი გამოიტირე!

ოხ, შენი თვალნი გაზაფხულის
ორ მდინარეთ რომ გადაიქცნენ,

მაშინაც, ვიცი, არ გეყოფა
ცხარე ცრემლები, რომ
დაიტირო შენი დარდი,
შენი სირცხვილი!
იტალიავ! მეფევ და მონავ!
ვინ მოიგონოს დიდება შენი
და არა სთქვას: „საშინელია
ბედი მისი, ასე უეცრად
რათ უმტყუნა მას ყველაფერმა?“
სადაა შენი სიამაყე, შენი სახელი,
შენი სიგმირე, იტალიავ, ამპარტავნობა?
ვინ გამოგტაცა ხმლის სადავე
და ვინ გაგყიდა?
შენი ლამაზი სამოხვლი,
სამოსელი ოქრომკედისა
ვინ ჩამოგგლიჯა,
მოგერივნენ, თუ გიცბიერეს?
იმ დიდებიდამ — ამ ქვესკნელში
შთანთქმა, ჩალუპეა?
მაგრამ სად გყვანან დამცველები,
სადაა შენდა სიყვარული
შენი შეილების?

ოხ, იარალი, იარალი
მომეცით მე და წავალ მარტო,
დე მოვკვდე იქ,
რომ ჩემთა სისხლმა იტალიელს
აუნთოს ცეცხლი,
ძველი ცეცხლი თავგანწირვისა!

სამშობლოს შვილნო! — სად არიან?
მესმის დაფდაფი, საყვირის ხმა,
იქ, შორს ქვეყანას იქ მობს იტალიელი
აბა შეხედე, იტალიავ,
აბა შეხედე თოფის კვამლში,
ცხენოსანთ რაზმში ბრწყინვას ხმალი,
ვით ელვა ბნელში!

მაგრამ რა მოვდის? იტანჯები!

გეშინიან შეხედო შვილებს?

გეშინიან მათ დამარცხების,

უკუქცევეს? მაგრამ, ოხ, არა!

ღმერთო, ღმერთო, იტალიელი

იქ სხვისთვის მომბს,

სხვის ქვეყნისთვის,

და არა თავის ღვახისთვის,

თავის ერისთვის!

შმაგნი! თავს სდებენ

სხვის სიცოცხლე დიდებისათვის

და ვერ იტყვიან სიკვდილის უამს:

„ოჭ, იტალიავ, ჩემო წმინდავ,

ჩემო ღვთაებავ, მომე სიცოცხლე

და მას ეხლა შენვე გიბრუნებ,

აპა, წაიღე!“

იკურთხოს ისევ ბრწყინვალება
წარსული დროსი.



დასავლეთ-ევროპის ასპარეზე:
ნაღმით აფეოქება სანგრისა.

მაშინ ყველანი თვის სამშობლოს
სწირავდნენ თავსა.
კურთხეულხართ თქვენ,
თესალის ულრანო ხევნო,
სადაც უამრავ მტერს დაუხვდა
ბერძენთა რაზმი.
რაზმი მცირე, მაგრამ მას აქეთ
იქ მთა, ტყენი, ბორცვნი, წყარონი
მგზავრს უამბობენ იმათ ამბავს,
ვით შეაკვდა მტერს ერთი მუჭა
ბერძენთა რაზმი.
იქ ფერმოპოლის ვიწრო ხევებში,
როგორ ივლტოდა მეფე ქსერქესი,
მთლად შერცხვენილი, მხდალი მტარვალი,
ვით გარბოდა გელესპონტისკენ;
ხოლო ანთელის მაის წვეროზე,
სადაც გმირებმა უკვდავება
სისხლით იყიდეს,
სიმეონიდი ალიმართა. ზღვას,
მინდონს, ცასა ნაღვლიანად
მოავლო თვალი, ალელვებული
დაბარბაცდა, აცრემლებულმა
ჩანგს წაავლო ხელი მთრთოლვარე
და დაამლერა:

„ბედნიერხართ თქვენ, მეომარნო!
თქვენ მკერდი თქვენი
მისიმარეთ სამშობლოს ფარად!
ვაშას შეგძახით კიდით-კიდე
მთელი ქვეყანა!
და ელლადა კი აოხრებას გადარჩინილი
ლოცულობს ცრემლით.
მაგრამ რისათვის ისწრაფოდით
კახარე ბრძოლაში?
რისთვის ეძებდით იქ თქვენ სიკვდილს?
როგორი იყო ჭაბუკთათვის
უკანასკნელი ბრძოლის წუთი,
როგორ ბრწყინავდა?
თქვენ მისდიოდით იმ საშინელ უღელტეხილზე

ვით ბედნიერნი, სიხარულით, შეუშფოთებლად!
მიისწრაფოდით თთქმს სადმე
მხიარულ მხარეს,
სადაც გელოდდათ თამაშობა,
ტკბილი მეჯლიში.

და რა დაგიხედათ?
ჯურლმული და შავი ტალლები!
მაშინ შორს იყვნენ იქ თქვენიდამ
თქვენი ცოლშილი,
ვერგონ გაკოცათ სიკვდილის წუთი,
ვერც დაგიტირეს!

მაგრამ მტერზე კი
მამაცურად შური იძიეთ!
როგორც რომ ლომი გარეულ ხართ
ჯოგს დაერიოს,
შეახტეს ზურგზე, გაშმაგებით
მიგლიჯ-მოგლიჯოს,
ასე ელლინნი მტრისა რაზმი გადაერივნენ,
შეუტიეს, მირივ-მორიეს
ერთმანეთში მთლად ყველაფერი,
დასცეს თავზარი, გააქციეს!
მაგრამ პირველი ფერმიხდილი
თვითონ ჯალათი მათ წინ ილტოდა.
სისხლის მორევში თვით ბერძენიც გადადიოდნენ,
ხოცავდნენ, ულეტდნენ,
და თვითონაც იხოცებოდნენ!

— დიდება თქვენდა!
ოხ, დიდება, ბედნიერებო,

ვიდრე მეტყველებს ამ ქვეყანას ადამიანი!

უმაღ ვარსკვლავნი მოსხლტებიან

ცას და ზღვის გულში

ჩაქრებან შეულ-შიშინით,

ვიდრე თქვენდამი ხსოვნა ოდნავ მიიღეოდეს.

ან შვილიშვილთა თქვენთა გულში

სიყვარული განედებოდეს!

თქვენი საფლავი — ეს დიდების სამსხვერპლო არი,

მასთან თვის შვილებს მიიკვენენ მანდილოსნები

და ეტყვიან, რომ ძველს დროში

ასე კვდებოდნენ!

მე თვით მუხლებზე დავეცემი

წინაშე თქვენსა,

ვეამბორები ყოველ ქვასა, ყოველ ბილილას.

ამიერიდან სახელგანთქმულ

იმ ადგილისა!

რათ არ შემეძლო მეც

რომ თქვენთან გავგმირულიყავ,

რომ ჩემი სისხლიც, შეეწოვა

იქ დედამიწას!

მაგრამ ბედი სხვაფერ მომექცა,

ელლადასათვის ვერ დავხუჭე

თვალნი ბრძოლაში!

ნეტავი მაინც თქვენსა სახელს

სახელი თქვენი მომლერალის გადაეხლართოს,

და მხოლოდ მასთან, ვით აჩრდილი,

მასთანვე მოკვდეს!“

1914 წ.

ლამის ზღაპარი

(სურათი)

ცაზე მთვარეს დასტირიან

ვარსკვლავები შავს ღრუბელში,

და ცრემლები ძირს ცვივიან

ბნელა ველში, ბნელა ტყეში.

ოდნავ, ოდნავ ლაპარაკობს

ბალახებთან მთის ნიავი,

მისცურავს და ბნელს მიაპობს

გიშრის ტბაზე შავი ნავი.

შორს, შორს, სადღაც, ხევის გულში,

მობურულში, მობუდულში

მიშრიალებს წყალი ნელა, —

სევდიანი ჰოროველა!
ტყე ჩურჩულებს და ტირიფი,
სტირის, წონრი არხევს ტოტებს,
შავი ჩრდილი, ხმალ აწვდილი
მთიდამ მთაშე მიაბოტებს.
ცეცხლის არშით, ლრუბლის პირზე
ვილაც მიჰქრის, ეშურება,
ტარტაროზი ცხენის რიკზე
შეხტება და ყალხზე დგება.
ბნელა. გამხმარ მუხის ძირში
ქორწილი აქვთ ალქაჯებსა,
თვითონ ზურნა სჩრიათ პირში,
ამღერებენ ბაყაყებსა!
ჯოჯო სივის, ჯოჯო სტირის,
საწყალს შვილი თუ უკვდება,
ერთი, ორი, ეს მესამე
საფლავიდამ მკვდარი დგება.
იცინიან, დაფრინავენ,
ფერხული აქვთ და განგაში,
ჩინჩხე ძვლები თამაშობენ,
ისმის ვაშა, ისმის ტაში.
ჩუ! მამალმა დაიყივლა,
მიიმალა უცებ ყველა,
ყური უგდეთ შავ სიჩუმეს,
ზღაპარს ამბობს...
ბნელა... ბნელა...!

1914 წ.

* * *

თვით ჩემი მუზაც ველარ იცლის,
რომ სტევას სხვა რამე,
არა გშორდება, არ გცილდება
არც დღე, არც ღამე.
წავა საითმე და თან მიაქვს იგივე ფრქრი,
ღელავს — შენც მასთან ასდევ ტალლებს, შენც მასთან მიჰქრი!
თუ გაიტაცა ის ერთ წუთით
მთის ლეგა ნისლმა,
ან მწუხრის სიმი იმის გულში
სევდათ გაისმა;
ან მხიარულობს,
წინწულებს ისერის ჭიქა ქარვისა,
მის წინ ირხევა ტკბილ დუღუქზე
ტანი ალვისა;

ოხ, არ გეგონს ჩანგი ამ წუთს უმღერდეს იმათ,
არა, ისა თრთის, ის შენთვის თრთის მაინც იმ ჟამად!

მაგრამ მტარვალად გადვიქცევი,
ბორკილს დავგრეხავ,
არ დავინანებ, არ დავინდობ
ჩანგს გადავტეხავ,
და აუკრძალავ თავხედ მუზას შენს გზას, შენს სახელს,
თუ წამოსცდება მყის ტუჩებზე დავაფარებ ხელ!

აბა რას აქნევ ცხოვრებისგან მითელ-მოთელილს:

სულს,
გრძნობას,
ლტოლვას,
ალტყინებას,
ფიქრსა და
წალილს?
მითხარ, ვის უნდა, ვის რათ უნდა დაჭრილი გული,
ვინ მოუკრიფის მკერდის ბუჩქზე მას თაიგული!

მე ფერფლილა ვარ ცეცხლზე დამწვარ სალამურისა,
მე გმინევა და ვარ — მშველის გმინევა გაგმირულისა,
მე ვარ ოჩის ფრთა მოტეხილი, მოღუნებული,
მე ვარ ვარდის ძირს მიგდებული მკვდარი ბულბული!
მიტომ უკრძალავ თავხედ მუზას
შენს გახსენებას,
ამიტომ ჩანგსაც, რომ გიმღეროს —
არ ვაძლევ ნებას!

და მხოლოდ ერთხელ... ეს იქნება უკანასკნელი —
სულს ამოჰყვება სიკვდილის წუთს შენი სახელი!
1914 წ.

უ გ ა ლ ლ ი

შენ არ მითხარ, შენ არა სთქვი
რისთვის დასდე ეს ყვავილი.
ჩემს ლოგინთან, ავადმყოფთან,
რისთვის არი მოკრეფილი?
მაშინ ისევ ყვავილს ვკითხე:
„ხომ მეთქი არ მოეწყინა?“
და ყვავილმა შენს მაგიერ
მიპასუხა, შემომცინა:
„არა, არა, მგოსნის ნახვის
გულს სურვილმა მოურბინა,
ნალვლიან ჩანგს მოუტანა
ყვავილები თვალ-ბიბინა!“
ას იცის გაზაფხულმაც:
ყვავილებით სევდას ამკობს
ყვავილებით შემოგცინის,
ყვავილებით ლაპარაკობს!

1914 წ.

შართველი ღედა

თოვლის, ხანდისხანაც სისინებს ქარი,
თოვლის, ძირს ჩამოდის თეთრი ცრემლები,
თოვლის, დალვრემილა მკაცრი ზამთარი,
გულს დაჭკრეფია ცივი ხელები.
გადათეთრებულ, გათოშილ ქედზეც
სასაფლაოს ჰგავს მკვდარი სოფელი,
მოღუშული და სევდიანია,
ვით აჩრდილების რამ სამყოფელი,
ჰაერში კომლი არ იზღაზნება,
სჩანს, ჩაქრობია ცეცხლი კერასა,
არსად ურემი, არსად ნახირი...
არცა ვინ მღერის ჰოროველას!
მხოლოდ ძველ საბძელს, ვეერდზე მიწოლილს
თავს დაჭრიბინებს რუხი ბეღურა,
და ქოხის წინაც საზარელი ხმით
ყმუის და სტირის საბრალო მურა.
თვითონ ქოხში-კი მოხუცი დედა
ცრემლით ცივს ნაცარს ზედ დაჭებითინებს,
და ბერიკაცი პირჯვარის წერით
შორს, ომში წასულს იგონებს შვილებს.
ეზოში გდია ნამაგდარი
მათი გუთანი, დალონებული,
არც ტკბილად სძინავს თოვლის ქვეშ ჯეჯილს,
არც გაჭიმულა ლამაზი ხნული.
ნამგალს — შფოთ მუშას, ნამგალს წკრიალას
შემოჰევევია ბასრ პირზე უანგი,
ბრძოლის ველზეა მისი ერთგული
კაი პატრონი და ამხანაგი.
იქ გაყინულ მკერდს ცხელ ტყვიას უშვერს,
და გალესილ ხმალს — კოურიან ხელებს,
ხიშტით მიწას ხნავს, სისხლით მიწას რწყავს,
და სევდით სთესავს პურის ველ-მინდვრებს.

თოვლის ნელა-ნელა, თოვლის და სუდარა
ნელ-ნელ იშლება ძირს სოფელზედა,
სტირის, ოხ, სტირის ძაძებიანი,
კერა-ჩაქროლი ქართვილი დედა!

ორ. ევდოშვილი.



1915 წ.